ოქმი:**ო37. 3724303001**

თარიღი:**29/10/2024**

ოქმი N 23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 28
ოქტემბერი

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. .,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული N 1საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას.

2. N2,3 საკითხები განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის მიზნით დაეწეროთ საკრებულოს დარგობრივ კომისიებს(ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი).

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი